

კორეულ-ქართული ფრაზეოლოგიური ონლაინლექსიკონის შედგენის
პრინციპები

მაკა ბუჟღულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ლექსიკოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს კორეულ-ქართული ფრაზეოლოგიური ონლაინლექსიკონის შექმნის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება და ლექსიკოგრაფიული პრინციპების ჩამოყალიბება.

ჩატარებული კვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ამ მნიშვნელოვან ლინგვისტურ მოვლენაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, კორპუსის ენათმეცნიერების მიღწევებმა გამოავლინა ამ საკითხის სხვა წახნაგებიც, კერძოდ ეკვივალენტობის პრობლემის არსებობა ფრაზეოლოგზების დონეზეც, რამაც ხელი შეუწყო ახალი მეთოდების შექმნას მათ საკვლევად, მით უფრო ორენოვან კონტექსტში. სწორედ ამიტომ, ნაშრომის თეორიული ნაწილი ფრაზეოლოგიზმების თეორიების დამუშავებას და მათ საფუძველზე ჩვენი სამუშაო განმარტებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბებას დაეთმო.

ნაშრომის პრაქტიკული ნაწილში დეტალურადაა განხილული ფრაზეოლოგიური ონლაინლექსიკონის მაკროსტრუქტურის, მიკროსტრუქტურისა და მედიოსტრუქტურის საკითხები. სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ლექსიკონებისა და ელექტრონული კორპუსების ანალიზის შედეგად შეირჩა 500 ფრაზეოლოგიური ერთეული და იდიომი, რომელიც დართული აქვს ნაშრომს პირველი დანართის სახით.

შეიქმნა 30 ფრაზეოლოგიური კორეულ-ქართული სიტყვა-სტატია იმ ლექსიკოგრაფიული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია ნაშრომის მეორე თავში. სიტყვა-სტატიის კომპონენტებს შორის გამოყოფილია ეტიმოლოგია, იდიომებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი განსხვავებული კულტურის მქონე ენებში, როგორებიცაა ქართული და კორეული ენები. ფრაზეოლოგიური სიტყვა-

სტატიებისათვის საინტერესო საილუსტრაციო მასალა შეირჩა კორეული ენის კორპუსიდან. კორპუსულმა კვლევამ ფრაზეოლოგიზმების სიხშირული ანალიზის საშუალებაც მოგვცა. ფრაზეოლოგიური სიტყვა-სტატიების ნაწილი შეტანილია ნაშრომის მესამე თავში, ნაწილი კი დართული აქვს ნაშრომს მეორე დანართის სახით.

Abstract

The purpose of the present study is to work out the methodological issues of creating a Korean-Georgian phraseological online dictionary and to develop lexicographic principles.

The conducted research consists of two parts: theoretical and practical. Familiarization with the scientific literature related to phraseology reveals the fact that there are great differences of opinion on this important linguistic phenomenon. The development of modern technologies and the achievements of corpus linguistics displayed other facets of this issue, namely, the existence of the equivalence problem at the level of phraseology. This gave impetus to create new methods for their study, especially in a bilingual context. That is why the theoretical part of the thesis was devoted to elaborating on the theories of phraseologisms and formulating our working definition and methodological approaches based on them.

In the practical part of the paper, the issues of the macrostructure, microstructure, and mediostructure of the phraseological online dictionary are discussed in detail. As a result of the analysis of various phraseological dictionaries and electronic corpora, 500 phraseological units and idioms were selected and appended to the thesis as annex 1.

30 phraseological Korean-Georgian entries were created based on the lexicographic principles presented in the second chapter of the paper. Etymology, deep and surface structures of idioms, and phraseological units are distinguished among components of entries, which is especially interesting in languages with different cultures, such as Georgian and Korean. Interesting illustrative material for phraseological entries was selected from the corpus of the Korean language. Corpus-based research also allowed us to analyze the frequency of phraseological units. Part of the phraseological entries are included in the third chapter of the paper, and another part is appended to the work as annex 2.